აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ქვეპროგრამა „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“

2024 წლის III ეტაპი

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, კერძოდ: ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები; ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტები; ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები.

**თანადაფინანსება განსაზღვრულია შემდეგნაირად:**

1. **500 ლარის ფარგლებში (არსებული დავალიანების საფუძველზე)** - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტირებული პროგრამების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტები (ბაკალავრების, მაგისტრანტების აკადემიური მოსწრება სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 80%-დან 90%-მდე;) და ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტები(სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 80%-დან 90%-მდე);

2. **700 ლარის ფარგლებში (არსებული დავალიანების საფუძველზე)** - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტირებული პროგრამების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტები(ბაკალავრების, მაგისტრანტების აკადემიური მოსწრება სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 90%-დან 99%-მდე;) და ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტები(სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 90%-დან 99-მდე);

3. **1125 ლარის ფარგლებში (არსებული დავალიანების საფუძველზე)** - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტირებული პროგრამების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტები (ბაკალავრების, მაგისტრანტების აკადემიური მოსწრება სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 99%-დან 100%;) და

ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტები(სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 99%-დან 100%);

4. **300 ლარის ფარგლებში (არსებული დავალიანების საფუძველზე)** - ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტირებული პროგრამების სტუდენტების შემთხვევაში;

5. **500 ლარის ფარგლებში (არსებული დავალიანების საფუძველზე)** - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტირებულიპროგრამების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტები, (ბაკალავრების, მაგისტრანტების აკადემიური მოსწრება სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 70%-დან 80%-მდე;), ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტები(სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 70%-დან 80%-მდე) და ასევე განეკუთვნებიან ერთ-ერთ კატეგორიას:

- ობოლი დედით ან მამით, ან უდედმამო;
- მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები;
- პირები, რომლებიც დაფიქსირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე;
- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსის მქონე პირი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულის შვილები, ზომიერად/მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები;
- აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0, F84.1, F84.2, F84.3, F84.4, F84.5, F84.8, F84.9) მქონე პირები.

## დაფინანსების მაძიებელთა შეფასების კრიტერიუმები

ა) სტუდენტი დაფინანსებას მოიპოვებს აკადემიური მოსწრების საფუძველზე. აკადემიური მოსწრება გამოითვლება სტუდენტის მიერ სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით (არანაკლებ 70 %). ეს

მოთხოვნა არ ვრცელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებზე;

ბ) სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების შედეგად (არანაკლებ - 70 %).

განმცხადებელს მოეთხოვება სწავლაში წარმატებულობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტების - აკადემიური მოსწრების ფურცლისა და რეკომენდაცია/დახასიათების წარდგენა (აგრეთვე, სერტიფიკატების, სიგელებისა და დიპლომების წარდგენა, არსებობის შემთხვევაში); აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი არ უნდა იყოს საშუალოდ 70%-ზე ნაკლები (ნაკლები პროცენტული მაჩვენებლის მქონე პრეტენდენტის განაცხადი არ დაფინანსდება. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებზე).

სრული სასწავლო პერიოდის განმავლობაში (სწავლების ყველა საფეხურის გათვალისწინებით) პროგრამის ფარგლებში ერთი და იგივე პიროვნება ფინანსდება მხოლოდ 2-ჯერ (რეზიდენტურაში სწავლება ფინანსდება მხოლოდ ერთხელ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი პირველად სარგებლობს აღნიშნული პროგრამით). ასევე, ერთიდაიგივე პიროვნება არ დაფინანსდება 2-ჯერ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

თითოეულ ეტაპზე, შემოსული განცხადებების განხილვისას, დასაფინანსებლად პრიორიტეტი მიენიჭება უფრო მაღალი შეფასების (აკადემიური მოსწრების ფურცლის მიხედვით) მქონე სტუდენტებს, ხოლო თანაბარი შეფასების შემთხვევაში მათ, ვინც მეტად წარმატებულია, რაც დასტურდება სერტიფიკატების, სიგელებისა და დიპლომების წარდგენით.

სტუდენტის დაფინანსება მოხდება სასწავლებლიდან წარმოდგენილი დავალიანების საფუძველზე.

**თანადაფინანსების მაძიებელს სამინისტროში მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:**

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დევნილის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სასწავლებლიდან, რომ არის აკრედიტებული პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი/რეზიდენტი;

ე) რეკომენდაცია/დახასიათება სასწავლებლიდან;

ვ) სასწავლო ბარათი (კომისია იხელმძღვანელებს ბოლო სემესტრის მონაცემებით);

ზ) წარმატებულობისა და განსაკუთრებული მიღწევების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაციის სერტიფიკატები, სიგელები (არსებობის შემთხვევაში);

თ)ინვოისი (ცნობა პირის მიერ განცხადების შემოტანის პერიოდში სასწავლებლისთვის დარჩენილი **გადასახდელი თანხის** ოდენობის თაობაზე).

ი) **შემდეგი კატეგორიების შემთხვევაში:**

- ობოლი დედით ან მამით, ან უდედმამო;
- მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები;

- პირები, რომლებიც დაფიქსირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე;
- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსის მქონე პირი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულის შვილები, ზომიერად/მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები;
- აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0, F84.1, F84.2, F84.3, F84.4, F84.5, F84.8, F84.9) მქონე პირები.
-

**ზემოაღნიშნული კატეგორიის პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ:**

- განმცხადებლისა და მისი და-ძმების დაბადების მოწმობების ასლები (მრავალშვილიანი ოჯახის შემთხვევაში);
- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა NIV-50/4);
- მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულის შვილი ან მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანი ან მისი შვილი;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV-100/ა, არაუმეტეს 2 თვით ადრე გაცემული განცხადების წარმოდგენიდან), რომელშიც დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით, პირის ძირითად დიაგნოზად მითითებულია განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0; F84.1; F84.2; F84.3; F84.4; F84.5; F84.8; F84.9. და ასევე დიაგნოზის დასმისას გამოყენებულია შემდეგი ტესტები: - აუტიზმის შესაფასებელი ინსტრუმენტი (ADOS ან/და ADI-R); - ინტელექტის შესაფასებელი ინსტრუმენტი (WAIS-IV - Wechsler Adult Intelligence Scale, 4th edition ან/და WNV - Wechsler Nonverbal Scale of Ability ან ზრდასრულთა ინტელექტის შესაფასებელი ნებისმიერი საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტი); - ადაპტური ფუნქციონირების შესაფასებელი ინსტრუმენტი (მაგ., Vineland - 2, Vineland Adaptive Behavior Scales, II edition ან ABAS-3 - Adaptive Behavior Assessment System Third Edition);
- შესაბამისი ადმინიტრაციული ორგანოდან გაცემული სათანადო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება რომ სტუდენტი ეკუთვნის სოციალურად

დაუცველ ოჯახს და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე (ცნობა გაცემული უნდა იყოს აღნიშნული პროგრამის სააპლიკაციო ვადის ფარგლებში).

მოქალაქეთა განცხადებები მიიღება 15 აგვისტოდან 16 სექტემბრის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე - apkhazeti@mes.gov.ge და ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, მისამართი: თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ სატელეფონო ნომერზე: 577 09 22 39.

შენიშვნა* დოკუმენტაციის ელექტრონულად გამოგზავნის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია სასწავლო ბარათი მატერიალური სახით წარმოადგინოს სამინისტროში.